საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 608 2020 წლის 26 მარტი ქ. თბილისი

პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების მარაგების შექმნის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. ქვეყანაში პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების მარაგების შექმნის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს არა უმეტეს 5000 ტონა შაქრის, 500 ტონა მაკარონის ნაწარმისა და 1 500 000 ლიტრი მზესუმზირის ზეთის სახელმწიფო შესყიდვა.

2. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების გატარების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალოს „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდის – 31 05 (ერთიანი აგროპროექტი) ფარგლებში შესაბამისი პროგრამული კლასიფიკაციის კოდის დამატება.

3. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების გატარების მიზნით, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებებიდან გამოიყოს 16 000 000 ლარი და, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს 2020 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

4. ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიეცეს უფლება, განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების მარაგების შექმნის მიზნით შესაბამისი საქონლის/მომსახურების შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობით. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვებთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-11 მუხლის პირველი და 1[1] პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებითა და ასევე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

№1

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**